ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 3724029001**
თარიღი:**29/01/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 29 იანვარს განიხილა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილი პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

-წარმოდგენილი პროექტის დამუშავების საფუძველია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი, სტრატეგია და სხვა საკანონმდებლო აქტები.

-პროექტის მიზნები და ამოცანები ჰარმონიულადაა კავშირში სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან და მისი სამოქმედო ვადა განსაზღვრულია 2024-2027 წლებით;

-პროექტი ასახავს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობის დანერგვის ხარისხობრივი გაუმჯობესებისაკენ.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი